



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010190243307418

20 / აგვისტო / 2018 წ.  
# 805/ს

**მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის I, II, III და IV ხარისხის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის - 169,377 მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N248) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის N5000210818 დასკვნის, 2017 წლის 8 ნოემბრის N26304/07 მოხსენებითი ბარათის, სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 14 აგვისტოს N28382/14 და 2018 წლის 17 აგვისტოს N28851/14 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N248 სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ასპინძა-ასალქალაქის სატყეო უბნის, ოთის სატყეო N5 კვარტლებში მოვლითი (სანიტარული) ჭრების შედეგად მოპოვებული 169,377 მ<sup>3</sup> ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის I, II, III, IV ხარისხის მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები და აუქციონის ლოტები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;
4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის  
მოადგილე

ხელმოწერილია/  
შტამგდამსმულია  
ელექტრონულად

გრიგოლი ბლიაძე